საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

ბრძანება №291/04
2023 წლის 27 ოქტომბერი

ქ. თბილისი

„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ფიზიკური პირის დაკრედიტების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 13 მარტის №44/04 ბრძანებით (www.matsne.gov.ge; 17/03/2020; ს/კ: 220010000.18.011.016443) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) „პირის გათვითცნობიერებულ ინვესტორად აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 16 დეკემბრის №223/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლით განსაზღვრულ გათვითცნობიერებულ ინვესტორზე. ამასთან, ამ დებულების მიზნებისთვის აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი წლიური შემოსავლის განსაზღვრისას სავალდებულოა ამ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებული გადასახადების გამოკლება.“.

2. მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) სხვა დანარჩენი სამომხმარებლო სესხების შემთხვევაში – არაუმეტეს 4 (ოთხი) წელი.“.

3. მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იპოთეკურ და 4 (ოთხ) წელზე მეტი ვადიანობის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხზე სესხის უზრუნველყოფის კოეფიციენტი აღემატება დანართ №2-ში მოცემულ მაჩვენებლებს.“.

4. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სესხის მომსახურების კოეფიციენტის გამოთვლის მიზნით, რევოლვირებადი პროდუქტების შემთხვევაში ყოველთვიური შენატანის დასადგენად სესხის ლიმიტის მაქსიმალურ ვადად 4 (ოთხი) წელი უნდა განისაზღვროს.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2023 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის
პრეზიდენტის მოვალეობის **ნათელა თურნავა**
შემსრულებელი